თბილისელთა მეორე მატჩი

ალექსანდრია, 3 დეკემბერი. სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა – თბილისის „დინამომ“ არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში თავისი ტურნეს მეორე მატჩი აქ ჩაატარა ადგილობრივ ნაკრებთან.

ბრძოლა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. მიუხედავად ორივე კართან შექმნილი რამოდენიმე სახიფათო მომენტისა, შესვენებამდე არ გახსნილა.

62–ე წუთზე სტუმრებმა ალექსანდიის ნაკრების კარში გაიტანეს ბურთი, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე მასპინძლებმა მოახერხეს ანგარიშის გაქვითვა.

ასე – 1:1– დამთავრდა ეს საინტერესო თამაში.

ლელო 4. XII. 69 წ.